საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის განვითარების სააგენტოს ინიციატივით, იმერეთის აგრო ზონა აცხადებს წინადადებების მიღებას სასათბურე კლასტერის განვითარების პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, განახორციელოთ ინვესტიცია, სრული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ 220 ჰექტარ ფართობზე, რომელიც საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის რეგიონში მდებარეობს და გამოირჩვა იდეალური კლიმატით და ნაყოფიერი ნიადაგით.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს გარე და შიდა ინფრასტრუქტურის მშენებლობას. 7 და 5 მეტრის სიგანის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება, ნაკვეთის სრული შემოღობვა, უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება და ძირითადი კომუნალური ინფრასტრუქტურა - ელექტროენერგია, გაზი, სარწყავი და სასმელი წყალი და კანალიზაცია.

იმერეთის აგრო ზონის ტერიტორია 220ჰა დაყოფილია ორ ნაკვეთად: 159ჰა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში - დაბალი, საშუალო და მაღალი ტექნოლოგიის სათბურებით და 61 ჰა ბაღდათის მუნიციპალიტეტში საშუალო და მაღალი ტექნოლოგიის სათბურებით. ნაკვეთები ახლოსაა ცენტრალურ მაგისტრალთან, რკინიგზასთან, საერთაშორისო აეროპორტთან, საზღვაო პორტებთან და გააჩნია საუკეთესო წვდომა რეგიონალურ ბაზრებთან.

იმერეთის აგრო ზონის საწარმოო ნაკვეთები უზრუნველყოფილი იქნება ყველა საჭირო კომუნალური ინფრასტრუქტურით. იმერეთის აგრო ზონა უზრუნველჰყოფს 40,000 მგვტ-ზე მეტი ელექტროენერგიის და 40 მლნ მ3 ბუნებრივი აირის მიწოდებას. კომუნალური ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს სასმელი და სარწყავი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებს.

პროექტის კონცეფციის თანახმად, სერვისის მიწოდება განხორციელდება „ერთი-ფანჯრის“ პრინციპით. იმერეთის აგრო ზონის სასათბურე კლასტერის მოიჯარეებს და ფერმერებს იმერეთის რეგიონის სოფლებიდან ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისები: იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება/რეგისტრაცია, ფიტოსანიტარული სერთიფიკატის მიღება, იმპორტისა და ექსპორტის დეკლარაციების მომზადება და სხვა. მათ ექნებათ წვდომა კერძო კომპანიების სერვისებზე, მათ შორის ლაბორატორიული ტესტირება, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტიზაცია/სერტიფიცირება, ფინანსური, იურიდიული და ტექნოლოგიური კონსულტაციები და სხვა.

2022 წლისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროექტს წარმოადგენს 1,1 ჰა-ზე მებაღეობის სატრენინგო და სადემონსტრაციო ცენტრის (HTDC) მშენებლობა. HTDC-ის მთავარი როლი არის აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის მიწოდება ადგილობრივი აგრონომებისთვის, ეკონომისტებისთვის და თანამედროვე სათბურების ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა სპეციალისტებისთვის. პრაქტიკული მეცადინეობისთვის აშენდება მაღალი, საშუალო და დაბალი ტექნოლოგიის სადემონსტრაციო სათბურები. ცენტრი მოემსახურება როგორც იმერეთის აგრო ზონის სასათბურე კლასტერის წევრებს, ასევე ფერმერებს მთელი საქართველოდან და მეზობელი ქვეყნებიდან - სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ცენტრის განვითარებას საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობით.

იმერეთის აგრო ზონა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს განახორციელონ ინვესტიცია სხვადასხვა ტექნოლოგიის სათბურებში. პირველი ფაზის ფარგლებში უკვე დადგენილია სხვადასხვა ტექნოლოგიის სათბურებისთვის მიწის ნაკვეთების ფართობი. წყალტუბოს ტერიტორიაზე პირველ ფაზაში გასაყიდი ნაკვეთების საერთო ფართობია 32ჰა.
მეორე და მესამე ფაზებისთვის, რომელიც 2024-2026 წლებში განხორციელდება, სასათბურე მეურნეობისთვის მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს 135ჰა-ს. პროექტის მეორე ფაზაში,

47ჰა გამოყოფილია მაღალი და საშუალო ტექნოლოგიის სათბურებისთვის, ხოლო მესამე ფაზაში დაახლოებით 78ჰა.
ინვესტორებს, საკუთარ სასათბურე მეურნეობაში, შესაძლებლობა ექნებათ მოიყვანონ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, როგორიცაა: ბოსტნეული, მწვანილი, კენკრა, ყვავილები და სხვა

იმერეთის აგრო ზონა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიიჩნევს შემგროვებელი ლოგისტიკის ცენტრის მშენებლობას. ლოგისტიკის ცენტრისთვის გამოყოფილია ჯამში 2ჰა მიწის ნაკვეთი. ლოგისტიკის ცენტრის მიზანია შეაგროვოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, როგორც მოიჯარეებისგან ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების 5,000 ფერმერისგან, რომლებიც UNIDO-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სასათბურე მეურნეობის კლასტერად იქნა აღიარებული. წყალტუბოს საწარმოო ტერიტორიაზე შემგროვებელი ლოგისტიკური ცენტრის ჯამური სიმძლავრე შეადგენს 204 ტონას დღეში. ლოგისტიკური ცენტრში შესაძლებელი იქნება ისეთი სერვისების მიღება, როგორებიცაა: პროდუქციის შეგროვება, დახარისხება, რეცხვა, შეფუთვა, გაყიდვა და ბაზრის მონაცემების კვლევა და შეგროვება.